საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 927-03
05/07/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, განათლების სადოქტორო პროგრამა და მათემატიკა 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე, აკადემიური საბჭოს მიერ 2024 წლის 28 თებერვლის №2 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების" მე-5 და მე-6 მუხლების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 4 ივლისის N11865-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

ა) ბიზნესის ადმინისტრირება –2 ვაკანტური ადგილი

ბ) განათლების სადოქტორო პროგრამა – 3 ვაკანტური ადგილი

გ) მათემატიკა – 2 ვაკანტური ადგილი

2. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულ სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2024 წლის 15 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, 18:00 საათამდე, ქვემოთ მითითებული დოკუმენტები უნდა გაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: phd_bte@iliauni.edu.ge . ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს ერთხელ, ერთ საქაღალდედ აკინძული PDF - ფორმატში, წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის საბუთები არ განიხილება, მიღება დადასტურდება ფაკულტეტის წარმომადგენლის მიერ და მიენიჭება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომერი:

ა) შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილი სააპლიკაციო ფორმა (დანართი 1);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) შესაბამისი სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობაში განსაზღვრული შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი (რომელიც გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან) ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ

დიპლომი ჯერ გაცემული არ არის, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება და თარიღი. (უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება/მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ). ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, თუ კანდიდატი ფლობს სხვა მიმართულებით მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს უნდა წარმოადგინოს შვიდწლიანი მენეჯერული გამოცდილების ან GMAT (ქულა -მინიმუმ 550) დამადასტურებელი ცნობა

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) 3X4–ზე ფოტოსურათის ელ.ვერსია;

ვ) აპლიკანტისა და პოტენციური ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სადოქტორო კვლევითი განაცხადი სადოქტორო პროგრამის მიხედვით (დანართი 2), ხოლო მათემატიკის სადოქტორო პროგრამაზე დამატებით პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი თანხმობის ფორმა მე-3 დანართის მიხედვით. (რეგისტრაციისათვის დოქტორანტს წინასწარ უნდა ჰყავდეს შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც კვლევითი განაცხადის ფორმაზე ხელმოწერით დაადასტურებს თანხმობას ხელმძღვანელობის შესახებ);

ზ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა აპლიკანტმა იმ შემთხვევაში, თუ არ გადის ინგლისური ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ C 1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი: Cambridge ESOL Exams: Cambridge English Scale – 180; IELTS – 6.5;CAE–GradeC; FCE – Grade A; BEC Vantage – Grade A; ILEC –Pass with C1; BULATS - 74; TOEIC – 865; Aptis Test TOEFL: 95; Pearson tests: PTE General level - 4; PTE Academic ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus , რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ C 1 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომი, ასეთის არსებობის შემთხვევაში ამავე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვით;

თ) მათემატიკის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა აპლიკანტმა იმ შემთხვევაში, თუ არ გადის ინგლისური ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი: Cambridge ESOL Exams: IELTS – Band 5.5; FCE –Grade C; BEC Vantage –Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS - 65; TOEIC – 715; Aptis Test TOEFL: 46 ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი-Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში ამავე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვით;

ი)განათლების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა აპლიკანტმა იმ შემთხვევაში, თუ არ გადის ინგლისური ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS - 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49 ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი-Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში ამავე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვით;

კ) აპლიკანტმა, რომელსაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული პროგრამა, უნდა წარმოადგინოს ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გაცემული დიპლომით არ დასტურდება, რომ აპლიკანტის მიერ გავლილი პროგრამა იყო ინგლისურენოვანი, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის დანართი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ინგლისურენოვანი პროგრამის გავლის თაობაზე.

ლ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის).

3.ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ზ“, „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტს.

4.დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია (გარდა იმ პირებისა, რომლებმაც წარმოადგინეს ენის ცოდნის დამადასტურებელი ამ ბრძანებით განსაზღვრული ვალიდური დოკუმენტები), ინგლისური ენის C1 და B2 დონეზე ცოდნის დასადასტურებლად გამოცდა ინგლისურ ენაში ჩაუტარდებათ 2024 წლის 6 და 7 აგვისტოს, ინფორმაცია გამოცდის დროის და ადგილმდებარეობის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“ 2024 წლის 5 აგვისტოს.

5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ინგლისური ენის C1 დონის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 6,5. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

6. განათლების სადოქტორო პროგრამაზე ინგლისური ენის B2 დონის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 6,5 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

7. მათემატიკის სადოქტორო პროგრამაზე ინგლისური ენის B2 დონის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 6,0 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

8. ინგლისური ენის გამოცდის შედეგები საიდენტიფიკაციო კოდების მითითებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2024 წლის 8 აგვისტოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

9. დოქტორანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ინგლისური ენის გამოცდის შედეგის შესახებ უნდა წარმოადგინოს 2024 წლის 8-9 აგვისტოს (18:00 საათამდე) უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე info@iliauni.edu.ge

10. ინგლისური ენის განმეორებითი გამოცდა საუბრის კომპონენტში ჩატარდება 2024 წლის 12 აგვისტოს. ინფორმაცია განმეორებითი გამოცდის თარიღისა და ადგილმდებარეობის შესახებ აპლიკანტებს გადაეგზავნებათ პირად ელ.ფოსტაზე არაუგვიანეს 2024 წლის 10 აგვისტოსა.

11. ინგლისური ენის საბოლოო შედეგები საიდენტიფიკაციო კოდების მითითებითა და აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდება 2024 წლის 13 აგვისტოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

12. თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ინგლისური ენის გამოცდის ბარიერს, იგი ეთიშება მისაღები კონკურსის შემდეგ ეტაპებს. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. პროგრამაზე მიღებისათვის კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევითი განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით;

13. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატების მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილ სადოქტორო კვლევით განაცხადს, ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, წინასწარ განსაზღვრული წესის მიხედვით აფასებს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია;

14. სადოქტორო კვლევითი პროექტის მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა, ხოლო მინიმალური ზღვარია 3 ქულა. თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სადოქტორო კვლევით პროექტს შესაბამისი დარგობრივი კომისია შეაფასებს 3-ზე ნაკლები ქულით, იგი კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

15. სადოქტორო კვლევითი განაცხადის შეფასებები საიდენტიფიკაციო კოდების მითითებით განთავსდება 2024 წლის 14 აგვისტოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

16. აპლიკანტებს სადოქტორო კვლევის განაცხადის შეფასების შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადის გადმოგზავნა შეეძლებათ 2024 წლის 14 და 15 აგვისტოს (18:00 საათამდე) უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე info@iliauni.edu.ge

17. სადოქტორო კვლევის განაცხადის შეფასებები საიდენტიფიკაციო კოდების მითითებითა და აპელაციის შედეგების გათვალისწინებით განთავსდება არაუგვიანეს 2024 წლის 19 აგვისტოს, უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

18. დოქტორანტობის ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაციის პროცესი, დაადასტურეს ინგლისური ენის ცოდნა პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად და მათი სადოქტორო კვლევის განაცხადი შეფასდა მინიმუმ 3 ქულით, გაივლიან ზეპირ გამოცდას შესაბამისი დარგობრივი კომისიის წინაშე და შეფასდებიან წინასწარ განსაზღვრული წესის მიხედვით.

19. ზეპირი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა, ხოლო მინიმალური ზღვარია 3 ქულა. თუ კანდიდატი შესაბამისი დარგობრივი კომისიის მიერ შეფასდება 3-ზე ნაკლები ქულით, იგი კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

20. ზეპირი გამოცდა დარგობრივი კომისიის წინაშე ჩატარდება უნივერსიტეტში 2024 წლის 20 და 21 აგვისტოს . ინფორმაცია ზეპირი გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ გაეგზავნება აპლიკანტს არა უგვიანეს 2024 წლის 19 აგვისტოსი;

21. ზეპირი გამოცდის შედეგები საიდენტიფიკაციო კოდების მითითებით გამოქვეყნდება არა უგვიანეს 2024 წლის 22 აგვისტოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

22. აპლიკანტებს ზეპირი გამოცდის შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადის გადმოგზავნა შეეძლებათ 2024 წლის 22 და 23 აგვისტო (18:00 საათამდე) უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე info@iliauni.edu.ge

23. საპრეტენზიო განაცხადის საფუძველზე განმეორებითი ზეპირი გამოცდა ჩატარდება 2024 წლის 27 აგვისტოს. ინფორმაცია გამოცდის დროისა და ადგილმდებარეობის ჩატარების შესახებ აპლიკანტს გაეგზავნება პირად ელ.ფოსტაზე 2024 წლის 26 აგვისტოს;

24. ზეპირი გამოცდის საბოლოო შეფასებები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით და ჩასარიცხ კანდიდატთა ძირითადი სია საიდენტიფიკაციო კოდების მითითებით გამოქვეყნდება 2024

წლის 30 აგვისტოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღებადოქტორანტურაში“.

25. ჩასარიცხ კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდება 2024 წლის 3 და 4 სექტემბრს.

26. დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა ხელშეკრულების გაფორმებისას ადგილზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა)პირადობის მოწმობა ან პასპორტი (ორიგინალი და მისი ასლი). უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში -პასპორტის(ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) ორი ფოტოსურათი და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD);

გ)აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომის შემთხვევაში, გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან იმ შემთხვევში თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობამაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, ხოლო უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

დ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი სადოქტორო პროგრამის მოთხოვნის მიხედვით - ორიგინალი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ დონეს; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში (დიპლომის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ).

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი(მხოლოდ ვაჟებისთვის);

ვ) იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს და ხელშეკრულების აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

ზ)7-წლიანი მენეჯერული გამოცდილების ან/და GMAT (ქულა -მინიმუმ 550) დამადასტურებელი ცნობა (მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხ კანდიდატთათვის)

27. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ გაკეთებული განაცხადი შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული მონაცემები დამუშავდეს სახელშეკრულებო/სასწავლო ურთიერთობების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რა დროსაც შესაძლოა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში მოხდეს მათი ნაწილის გასაჯაროება ან მესამე პირებისათვის გადაცემა. დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა შესახებ ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე მხოლოდ აპლიკანტისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით და განთავსებულ იქნას დოქტორანტურის საფეხურზე პირთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის განმავლობაში. ბიზნესის,

ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადების დაცვა და კონტროლი;

28. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, 2024 წლის არაუგვიანეს 6 სექტემბრისა მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად;

29. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს;

30. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

31. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი